ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № N42

ქ. თბილისი 18 აპრილი 2018 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ ააიპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი (სკ 400098443), შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველი'', წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „შპს PROSPER LIMITED" (სკ 404983041), მისი დირექტორის მიხეილ ქართლელიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 2.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრისათვის 4.1. პუნქტში აღნიშნული საქონლის/მომსახურების მიხედვით, CPVკოდი **42414400** - ავტომობილზე დამონტაჟებული ამწეები მომსახურების შესყიდვაზე.

2.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების **ჯამური** ღირებულება (შემდგომში - ხელშეკრულების ფასი) შეადგენს.

150,00 (ას ორმოცდაათი ლარი) ლარს

3.2. ხელშეკრულების ფასი და ერთეულის ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1.

№	დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	ეტლით მოსარგებლეთათვის განკუთვნილი პლატფორმის შეკეთება	ცალი	1	150,00	150,00
	სულ ჯამი				150,00

5. მომსახურების შესაბამისობა

5.1. ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. 5.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1. ვადები:

6.1.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 25 აპრილამდე.

6.2. ადგილი:

6.2.1. მომსახურება მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ.თბილისი, ბელიაშვილის #5

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ორ ეგზემპლარად.

7.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილია ცენტრის დირექტორი შალვა მაისურაძე.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

8.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

8.3. ანგარიშსწორების ადგილი: ქ. თბილისი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10. ინსპექტირების პირობები

10.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შალვა მაისურაძე.

10.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურების ინსპექტირება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 27 მაისამდე.

12. განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

12.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება "მიმწოდებელთან", ერთი – "შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
აიპ თბილისის პარასპორტის	შპს PROSPER LIMITED
განვითარების ცენტრის	მის : ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, III
მისამართი: ქ. თბილისი, ზელიაშვილის 5	მიკრო/რაიონი, კორპუსი 5, ბინა 95
საიდენტიფიკაციო კოდი: 400098443	ს/კ : 404983041
	ა/ნ : GE50BG0000000306187200
	ბ/კ : BAGAGE22
დირექტორი	დირექტორი
შალვა მაისურაძე	ვ. ქართლელიშვილი